უმისოდ მოწყენილობამ დაისადგურა. დაცარიელდა სამყარო. თითო ინსტიქტურად მიიწვეს მისი ტელეფონის ნომრის ასაკრეფად.

«პარიზში დავასრულეთ ნიგნი პუშკინზე. ანდრეის ტექსტით. მე ჩემი ნახატები მიქმონდა: პუშკინი ზის, პუშკინი მიდის, პუშკინი მიყუდა ხეს, პუშკინი უყურებს თავის ტანსახელს. ვარჯიშებ ანდრეის და ვეუბნები, რომ ჩემი ახალი ნაშუქვარია. ანდრეი უყურებს... უხეჩრის. არ მეგონა, ამ ნაშუქვარებიდან ნიგნი თუ გამოვიდოდა... და გამოვიდა. მოულოდნელად. «პრომისმოყვარე პუშკინი». იგი არაფერს აკეთებს: არც წერს. ხან ქიქას ელანაკაქება, ხან როგორღაც ჩიტის დაჭიკას ცდილობს»



მშობლიურები გავხდით ერთმანეთისთვის. ძალიან მეუხერხულეა იმის თქმა, რომ მეგობრები ვიყავით. ორმოცდაათი წლის შემდეგ ეს მეგობრობა აღარ არის, სულ სხვა ურთიერთობაა — სიცოცხლე ერთად განვვლეთ. წავიდა და დავგიტოვა სამღვილი და დიდი სევდა.

წავიდა ლამაზი ადამიანი. ლამაზად წავიდა...

რასაც ახლა მოვიყვებით, წამდვილი ამბავია. მსოფლიო მაშინ ბატის ფრთით წერდა. როცა გოეთემ გაიგო, რომ რუსეთში არის ასეთი პოეტი, პუშკინს ფოლადის კალამი გაუგზავნა ფრანგი ნეგოციანტის ხელით. იმ ფრანგმა, კალამი რომ არ დაზიანებულიყო, საჩუქარი პატარა ბოთლუკაში ჩადო.

მას (იმ კაცს) უთხრეს, რომ პუშკინი დიდი დროს პეტერბურგის ამა და ამ კაფეში დადის და მივიდა იქ დილაადრიან. კაფე ცარიელი დახვდა. ვიღაც ერთი იჯდა მაგიდასთან და

ყავას წრუპავდა. მაგიდაზე ედო ცილინდრი. დალია ყავა და წავიდა. იმ ფრანგმა კაფეს პატრონს მიმართა: — ამბობენ, რომ თქვენთან დადის პუშკინი. მითხარით, გეთყავა, როცა მოვა.

— პუშკინი ის კაცი იყო, რომელიც ეს-ესაა წავიდა.

— სად წავიდა?

კაფეს პატრონი უპასუხებს, — ყური მოგეკარი, მეეტლეს რომ უთხრა, აქა და აქ მიმიყვანეო.

ფრანგი შიკრიკი დასახლებული ადგილისკენ წავა. სასწრაფოდ. მივა და აღმოჩნდება იქ, სადაც დღეული გამიართა. იმ წუთის დამთავრებული იყო: პუშკინი სასიკვდილოდ გაეწირა დანტესს.

ფოლადის კალამის ხმარება ვერ მოასწრო. წერდა ბატის ფრთით, რომლითაც წერდა მისი წინამორბედი ყველა ბუმბერაზი შემოქმედი — **დენტე, ვერბილიუსი, ჩვენი რუსთაველი.**

„და პიიტები ბატისფრთიანნი, მუხამბაზების მოვრალი დარაჯა, წვანან სიჩუმის ნავსადგურებში და კალამის მუქი მათი არაა ჩანს“.

ბიორგი ლეონიძე

ხომ წარმოვიდგენიათ, რა უზარმაზარია მსოფლიო ლიტერატურის ის შენობა!

გადმოქართულა არამაზ სანაშლიძე

P.S. ამ ფილმზე რეზოს ჩემთან არასოდეს უსაუბრია. ისიც არ ვიცი, ნახა თუ არა.

ა.ს.



მსაჩივრება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რუსიკას უკლებლად დარჩენა ანდრიაკა

სათვალაფიც აგვირია, ეს უკვე მერამდენე ულიმლამო წელიწადი ჩაპბარდა წარსულს „ოცნების“ ხელში. არადა, რა იმედებით ვიყავით აღესილნი, როცა თურმე ძველმა, მაგრამ სახელწოდებით ახალმა პოლიტიკურმა ძალამ თავისი „ოცნებებით“ ტვინი აგვირია და თავბრუ დაგვახვია. ახალმა პოლიტიკოსებმაც შემოგვაჭყიტეს თვალები, ჩვენ კი, „ტვირთმძიმენი და დამაშვრალნი“, სიხარულით, დიდი იმედებით მოვეგებეთ და „მადლობა ღმერთსო“, გავიძახოდით.

გვეგონა, რომ ახალი სისტემისთვის ახალი კაცნი მოიწვიეს, ერის „მაჯაშისცა შემტყეებანი“. გვეგონა და გვიხაროდა, გვიხაროდა და გვეგონა! პირველ ხანებში ჩვენს ნაადრევ სიხარულს თითქოს საბუთიც ჰქონდა, მაგრამ ბოლოსკენ შუბი ხალთაში აღარ დიმილა და ყველამ დაინახა, რომ სისტემა იგივეა და მართო ხერხია სხვა — კოაბიტაცია.

დიახ, ბატონებო! იმ ტუბილმა ოცნებებმა ჩაილურის წყალში დალია.

ღმერთო, გვიხსენი!.. რისგან ვიხსნასო? — მკითხავთ თქვენ. მსგავს კითხვას ილიამ 1881 წლის იანვრის შინაურ მიმოხილვაში უპასუხა და ის პასუხი ზუსტად ზედგამოჭრილია დღევანდელ ჩვენს ვითარებაზეც:

„იმისაგან, რომ, ერისა, კინაღამ ღმერთი არ გამოიწერა და არ წამოვიყრანტალე პასუხი! სულ გადამავეინედა, რომ ადამიანს სიტყვა აზრისათვის არა აქვს მინიჭებული, არამედ იმისათვის, რომ დიდმა სიტყვას: „მე შენ გიბრძანებ და ხმა უნდა გაიკმინდო“, და პატარამ მიუგოს: „მაქვს პატივი, მოგასხეთო, რომ ენა მუცელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა...“

შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: „მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხია-მითქი“ და პატარას ნება აქვს მიუგოს: „მაქვს პატივი მოგასხანოთ, რომ დღეს ჩვენმა მუხას ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა“; და ამგვარად, — რომ ამის თქმას არავინ დაუშვლისო“.

ჰო, ამის თქმას არ გვიშლის არც ერთი ჩვენი სტრატეგიული მებრძოლი, უფროს კმა უმცროსმა უნდა გაუგონოსო და ჩვენც თავის უფლად ვლანკავთ მათ, ვისკანაც იხინი თითო მიგვანიშნებან. გეკრა რა, თუ თვითონ სერიუს უყურებან და ფრთხილდებიან, ჩვენ კი მათ ხელში მსოლოდ ბრმა იარაღად ვიქცევით?! ის დიდია, ჩვენ კი — პატარა და დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის განსვლიან მართალი?!

გამოხტება ახლა ვილაც ინტრიგანი და იტყვის: შენ თუ ხარ მისი ძმა, ის არ არის შენი ძმაო? რატომ გიმეტებს და გნირავსო? და მოხსნის გუდას თავს:

არც ერთი ქვეყანა არ უშვებს ისეთ შეცდომას, როგორცა საქართველო; არც ერთი სახელმწიფო არ წყვეტს რუსეთთან ეკონომიკურ ურთიერთობას და სარგებლის ძებნას სხვაგან არ იწყებს. პირიქით, მზად არიან, რუსეთთან ხელშეკრულებები გააფორმონ და იმის გარანტია მიიღონ, რომ მომავალში საფრთხე არ დაემუქრებათ. ამ ჩვენს „მებრძობებს“ კი ჩვენი დარღვი სპარტოლ არ აქვთ — და-

მანყინარია კაცის აგებულებით. ბატონო, რაკი კაცს მიესევინა ის რაღაც იდეებია, ზაფხულის ბუზსავით ჩამოეკიდებიან და მოსვენებას არ აძლევენ. ამას კიდევ ზედ მოსდევს კუჭის მოშლა, სტომაქი საჭმელს ვეღარ იხელვებს და გულის ფრიალიც იცის. სალი კაცი ტყუილ-უბრალოდ სწეულდება. კეთილად განწყობილ ქვეყანაში განა ყველანი არ უნდა ცდილობდნენ, რომ სწეულების მიზეზნი წინასწარვე მოსპობილ იქმნას? მამ ის ერთი მეცნიერება, რომელსაც პიგიენას ეძახიან, უქმი სიტყვაა? წყლის ნაყვია? მამ ტყუილ-უბრალოდ დაშვრა იმოდენა ჭკუიანი ხალხი მაგ მეცნიერების აგებისათვის?..

თუნდ ეგვეც იქით იყოს, ხელა ერთი ეს მიკითხვოთ: იდეები რომ არ იყოს, განა ქვეყანაზეც ცხოვრება არ შეიძლება? მამ ამოდენა პირუტყვი რომ არის სცხოვროვს? უფრო ჩვენზედ საღნი არიან, ჩვენზედ ჯანმრთელინი, ჩვენზედ ღონიერინი და დღობრკალინი. აბა, კალია რა არის? ერთი უბრალო მწერი, ერთი რომ შევუბეროთ — ცხრა მთას იქით გადავარდებან, მაგრამ შარშან მთელი ქვეყანა ფეხზედ დადგა, შეეჭიდა და ძლივსა სძლია. ერთის მხრით იდეების მექონი აღამიანები

ამ ჩვენს „მებრძობებს“ ჩვენი დარღვი სპარტოლ არ აქვთ — დასავლეთი ზურგს უკან ცალკე მებრძოლ ძალას დასცინის, ცალკე — ოპოზიციას. ზამოდან გიყურებან და შენ კი უფლება არ გაქვს, გეწყინოს რამე; შენ თურმე არც აზრი გაქვს და არც ფიქრი შეგიძლია; მამსასადამე, არც მიზანი გეძნება, ჩაება რაღაც იდეების უქმ და მოუსვენარ ტრიალში. ამას ჩავგვიჩინებან და ლამის დავიჯერათ.

«ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა», ანუ ის, რის თქმასს არავინ გვიშლის...



ნატო-ში აშშ-ის ელჩი ჯულიან სმიტი: საქართველო და უკრაინა ნატოს ძალიან მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან, მათთვის ალიანსის კარი ღიაა

ვიყავით და მეორეს მხრით უიდეო პანანა კალია და კინაღამ გვაჯობა. ეს ცხადი მაგალითი არ არის განა, რომ საცა ეგ მოუსვენარი იდეა არ არის, იქ ღონეა და ძლიერება. მამ რათ ვიუძღურებთ თავს იდეების ტარებითა? ეგ იციან ქვეყნის მკურნალთა და ამიტომაც თვალ-გაფაციცებით აქეთ-იქით იყურებან, არსაი-დამ შემოგვეპაროსო და ღონიერი ულონოდ არ გახადოსო. თქვენ, რაც გინდათ, ბრძანეთ და ჩვენ კი ამ აზრისანი ვართ, — ქვეყნის ჯანმრთელობისათვის, გასწავლისათვის, ძველ-ახალში მოაშული იდეები სულ დედა-ბუღიანად უნდა ამოჰსოცოს კაცმა და წყალს მისცეს. ეს წერილ-ფიქრობა რაღაცა, დაუშინა და ჰყვიროს: იდეა იმისთანა რამ არისო, რომ ვერც ხმალი მოეპრება,

არ ასვენებს და მინც უნდა, „სტრატეგიული მებრძობის“ წინ დადის უარი მგალს შაჰმევიწინოს თავში...
თუმცა, რა მნიშვნელოვანია აქვს, მგალი შეგვამს თუ მგლისფარი ძალდი?!

ახლა ირონიას გვერდზე გადავდებ, ჩემო მკითხველო, და გეტყვი: „პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხანსმოკიდებულს გუბებს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალაობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული ინიტიცა ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „როდენდაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძღურდები“, — ამ გუბებს რომ თვალთა და აუჩქარებ-

«შეიძლება თურმე დიდმა უთხრას პატარას: «მე შენ გიბრძანებ, მუხას ვაშლი ასხია-მითქი» და პატარას ნება აქვს მიუგოს: «მაქვს პატივი მოგასხანოთ, რომ დღეს ჩვენმა მუხამ ვაშლი დაისხა, ბრძანებისამებრ თქვენისა»; და ამგვარად, — რომ ამის თქმას არავინ დაუშვლისო»



ჰო, ამის თქმას არ გვიშლის არც ერთი ჩვენი სტრატეგიული მებრძოლი, უფროს კმა უმცროსმა უნდა გაუგონოსო და ჩვენც თავის უფლად ვლანკავთ მათ, ვისკანაც იხინი თითო მიგვანიშნებან. გეკრა რა, თუ თვითონ სერიუს უყურებან და ფრთხილდებიან, ჩვენ კი მათ ხელში მსოლოდ ბრმა იარაღად ვიქცევით?! ის დიდია, ჩვენ კი — პატარა და დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის განსვლიან მართალი?!

სავლეთი ზურგს უკან ცალკე მებრძოლ ძალას დასცინის, ცალკე — ოპოზიციას. ზამოდან გიყურებან და შენ კი უფლება არ გაქვს, გეწყინოს რამე; შენ თურმე არც აზრი გაქვს და არც ფიქრი შეგიძლია; მამსასადამე, არც

მიზანი გეძნება, ჩაება რაღაც იდეების უქმ და მოუსვენარ ტრიალში. ამას ჩავგვიჩინებან და ლამის დავიჯერათ.
„ან რა საკადრისია დარბაისელ კაცისათვის იდეების ბარდებში გაბმა და ტრიალი! სხვა რომ არა იყოს-რა, იდეა ფრიალ



ვერც თოფიო. სტყუიან, თქვენმა მუხამ!

ილია ამ სარკაზმით დაუნდობლად ააშკარავებდა იმ გულშეკრებას, სიმახინიჯას, გორბობასა და ფარისევლობას, რომელსაც იმხანად ფიქრი უწოდებდნენ. ამდენი ხნის შემდეგ რისთვისღა გავიხსენებთ? სწორედ იმისთვის, რომ მანარე სიმახინიჯის თვალის განსწორება და გამოფხიზლება არც ჩვენ გვანდებდა; ისევე, როგორც იმ „მატრაკმეზას“, რომელსაც ბამჩინი

ლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნივს და იტყვი: „ვართ-ლაო!“ („ზოგიერთი რამ“).

მაგრამ აი იმ კაცს, რომელიც ზემოთ დაუმსახურებლად ინტრიგანად მოვიხსენიეთ, ძალიან უნდა, შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, იმედები გაუმართლდეს და მეორე მოგვიბრუნდეს და გვიტხრას: თუ ახლაც ვერ ხედავთ, მუხას ვაშლი რომ არ ასხია, ბრმანი ყოფილხართო.

ეს ის განსაკუთრებული შემთხვევა იქნება, როცა მისი გამარჯვება გაგვახარებს და საკუთარი მარცხი არ გვეწყინება.

«მაქვს პატივი, მოგასხანოთ, რომ ენა მუხელში ჩამივარდა, ბრძანებისამებრ თქვენისა...»



ზღვიდან გამოსვენებული ხატი დააბრძანეს და საამდლოპელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილას ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. ამის შემდეგ ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს. მეორე დღით, კანდელის დასანთებამ ბერებს ხატი ადგილზე არ დახვდა. კეზნის შემდეგ იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს.

25 თებერვალი ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დღესასწაულია. პორტაიტის, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

იმპერატორ თეოფილეს მეფობის პერიოდში (829-842) ბიზანტიის იმპერიაში ხატმებრძოლეთობის საშინელი ერესი მძვინვარებდა. იმპერატორის ბრძანებით, იმპერიის ყველა სოფელსა და ქალაქში მხედრები გადასული ხატებს ეძებდნენ და ანადგურებდნენ. ნიკიის მასწავლებელ ცხოვრობდა ერთი კაითი-ღმერთმანაჟი, რომელიც ფარულად ინახავდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატს. იმპერატორის გამოგზავნილმა მხადრებმა იპოვეს ეს ხატი, ერთ-ერთმა მათგანმა „მასწავლებელს“ დასცა პირსა ხატისა. მოხდა სასწაული: ნაიარაქვიდან სისხლმა იწმინდა.

შემიწვეული მხედრები იქა-ურობას გაეცალნენ. ქვეყნის მთელი ღამე ღვთისმშობლის ხატის წინაშე, დილით კი, ღვთის განგებით, მან ხატი ზღვასთან მიაბრძანა და ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ, როცა მიახლოვდა გადარჩეულს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

გამოხდა ხანი. ერთხელ, მიმწვივრისას, ათონის ივერთა მონასტრის ბერებმა ზღვაზე ნათლის სვეტი იხილეს. ეს ხილვა რამდენიმე დღე გაგრძელდა. წმიდა მთის მამები შეიკრიბნენ და თქვეს: „რაიმე იყოს მნთებარე ესე წყალთა შინა?“ ზღვის ნაპირზე ჩავიდნენ და ნახეს, რომ ნათლის სვეტი ღვთისმშობლის ხატს ადგა, მაგრამ, როცა მიახლოვდა გადარჩეულს, ხატი ზღვის ნაპირს გაშორდა.

ივერთა მონასტერში მოღვაწეობდა ერთი ქართველი ბერი — გაბრიელი. წმიდა მთის მამებს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატის დასვენების შესახებ უთხრა: „შემოდი ზღვაში, ტალღებზე რწმენით გაიარე და ყველა იხილავს ჩემს სიყვარულს და წყალობას თქვენი საგანგებოა“.

ათონის ბერებმა ქართველთა მონასტრის მიაკითხეს, მოძებნეს გაბრიელი და გალობითა და საკმეველის კმევეთ ზღვის ნაპირთან ჩავიდნენ. გაბრიელი ზღვაში შევიდა, ტალღებზე, როგორც ხმელეთზე, ისე გაიარა და წმიდა ხატი ნაპირზე გამოაბრძანა.

ეს მოხდა ბრწყინვალე შვიდულის სამშაბათს. ზღვიდან გამოსვენებული ხატი დააბრძანეს და საამდლოპელი პარაკლისი გადაიხადეს. იმ ადგილას ცივმა და საამო წყარომ ამოხეთქა. ამის შემდეგ ხატი ეკლესიაში შეაბრძანეს და საკურთხეველში დაასვენეს. მეორე დღით, კანდელის დასანთებამ ბერებს ხატი ადგილზე არ დახვდა. კეზნის შემდეგ იგი მონასტრის კარიბჭის კედელზე აღმოაჩინეს, ჩამოაბრძანეს და ისევ საკურთხეველში შეასვენეს. ასე განმეორდა რამდენიმეჯერ. ბოლოს, ყოვლადწმიდა ქალწული ისევ გამოეცხადა გაბრიელს და უთხრა: „გამოეცხადე ძმაო, რათა

ამიერიდან უმეტეს არა გამხდინდნენ მე, რამეთუ მე მნებაეს არა იგი, რათა მიცადვდეთ თქვენ, არამედ რათა თვით მე გფარვიდეთ თქვენ, არა მხოლოდ ამა ცხოვრებასა შინა, არამედ მომავალსაცა და ვიდრემდე იხილევბოდეს საგანეს ამას შინა ხატი, არა მოგაკლდეს თქვენ მადლი და წყალობა ძისა ჩემისა“.

ბერები გამოუთქმელი სიხარულით აღვიხსნენ, იქვე ააგეს პატარა ტაძარი სადიდებლად ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და საკვირველთმოქმედი ხატი შიგ დაასვენეს.

ერთ დროს მონასტერი ისე გაღარიბდა, რომ ფქვილიც კი არ გააჩნდა. ყოვლადღობის ძილში გამოცხადებია ღრმად დამწუხრებულ წინამძღვარს და უთქვამს: „რად სწუხარ, შვილო, ფქვილის უქონლობის გამო? ნადი და ისინი საგანგებოდ გადგინდეს, რათა დარწმუნდეთ თქვენდაიმი ჩემს მხარეზე“.

წამოხდა წინამძღვარი, მიაშურა ბუდეებს და იხილა, რომ იგი პირთამდე სავსე იყო ფქვილით. მაშინვე უხმო ძმებს და უამბო მომხდარი ამბის შესახებ. გაოცებულმა და სიხარულისგან გულაჩუყებულმა ბერებმა ერთხმად განადიდეს უფალი და მარადის ქაღალდი.

სხვა დროს ღვთისმშობლის ხატის დედოფალმა ისე გაავსო ყველა ჭურჭელი, რომ ღვინო ძირს იღვრებოდა. ისეთი სასიამოვნო და გემრიელი იყო, რომ ყველა დარწმუნდა, იგი სასწაულთმოქმედი იყო და არა ბუნებრივი.

ერთხელ კიდევ ზეთისხლითა და ოსპით აავსო მონასტერი. სავანის კარიბჭესთან დავანებული საკვირველთმოქმედი ხატი ხშირად არ უშვებდა მონასტერში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მძიმე, მოუწინავე ტოლი ცოდვა ჰქონდათ სულში, და როცა ზოგიერთი მათგანი ფარულად ცდილობდა სავანეში შესვლას, უსულოდ ეცემოდა მინაზე.

წარსულში ეგეოსის ზღვა მეკობრეთა სიმრავლით იყო დასავსებული. მონასტერზე მათი ერთ-ერთი თავდასხმის დროს არაბმა მეკობრემ მუხით ჭრილობა მიაციენა ივერიის ღვთისმშობლის ხატს, საიდანაც მეყსეულად სისხლმა იფეთქა. თავზარდაცემულმა შეინანა თავისი დანაშაული ღვთისმშობლის წინაშე, იწამა მისი ძე და მოინათლა. აქვე დარჩა და მცირე ხანში ბერად აღიკვეცა. იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე ტირილით ევედრებოდა მამებს, რომ მისთვის ბერობის სახელი და მასკინოსი კი არ ეწოდებინათ, არამედ „ბარბაროსი“. დაყუდებული ცხოვრებით იგი სინამდის მიემთხვია, და ახლა წმიდა ბარბაროსი ივერიის ღვთისმშობლის ტაძარშია დახატული — შავი, როგორც მოსე ეთიოპელი, და ხელთ პირვანდელი საჭურველი უპყრია: მახვილი, ისარი და მშვილდი.

1308 წელს ივერთა მონასტერი სასტიკად დაარბიეს სპარსელებმა, რომლებიც მიუახლოვდნენ ათონის მთას 15 ხომალდით და ალყა შემოარტყეს ივერთა მონასტერს. უსჯულო-

ღვთისმშობლის ხატისა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა



თა სიმრავლით შეშინებულმა ბერებმა გამოიტანეს ტაძრებიდან წმიდა ჭურჭელი, მათთან ერთად კარიბჭის ხატიც და ციხე-კოშკს შეაფარეს თავი. მონასტერში შემოჭრილმა ბერებმა ბერებმა გულის სიღრმეებიდან ცრემლით დაღვრილად მიმართეს უმონაყოლო ძარცვა და მათგან ტაძრის გუმბათის ჩამონგრევაც მოინადინეს. ამ მიზნით

ბა. ვერ მოასწრეს მონასტრის საუნჯით დატვირთულმა ხომალდებმა ნაპირისგან მოშორება, რომ ამოვარდა სასტიკი ქარიშხალი და მთელი ფლოტი ზღვის უფსკრულში დაინთქა. გადარჩა მხოლოდ ის გემი, რომელზეც იმყოფებოდა სპარსთა მეთაური — ამირა. მან ეს უბედურება სავანის გაძარცვისათვის მოვლენილ ღმრთის სამართლიან რისხვად აღიარა, შენდობა და ღმრთის წინაშე მთხოვა მამებს, დაუბრუნა მონასტერს ნაძარცვი ქონება და თვითონ გაიქცა შედრწუნებულად.

XVIII საუკუნეში ათონის მთა მოილოცა მეფე ტიმოთე გაბაშვილი. ივერთა მონასტერში, ერთ ადგილას მას ხანძრის კვალი შეუნიშნავს და მიზეზი უკითხავს. მისთვის განუმარტავთ: ამ ორი წლის წინათ ერთმა ბერმა ღამით შეაღო ტაძარი სალოცავად და იხილა ბრწყინვალედ მოსილი ქალი, რომელმაც გაკვირვებულ ბერს მიუღო: „წადი, აცნობე ძმებს, თქვენი მონასტერი იწვისო!“ ბერმა განგაში ატეხა და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ამგვარად გადარჩა ივერთა სავანე.

1821 წლის ბერძენთა აჯანყების საშინელ პერიოდში თურქი ჯარისკაცებით აივსო ათონის მთის ყველა სავანე, რომლებსაც დამპყრობელთა შენახვა და ხაზინაში უზარმაზარი გადასახადების შეტანა დაეკისრათ. დაცარიელდა ივერთა სავანე, აქ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ბერი. ღამ-ღამობით თურქები ხედავდნენ ქალს ყრმით ხელში. ამ ამბავმა მათ აფიქრებინა, რომ ბე-



ახლა წმიდა ბარბაროსი ივერიის ღვთისმშობლის ტაძარშია დახატული — შავი, როგორც მოსე ეთიოპელი, და ხელთ პირვანდელი საჭურველი უპყრია: მახვილი, ისარი და მშვილდი

რებს იქ სხვა ქალებიც ჰყავდათ გადამალული. მოუხმეს მონასტრის დარაჯს, ბერ-დიაკონ გრიგოს და მისი წამების ფასად სცადეს გამოეკვით, თუ ვინ იყო ის იღუმენი სტუმარი, ღამით რომ ჩნდებოდა და კვლავ უჩინარდებოდა ხოლმე. სასტიკად ნაგვემი და დასისხლიანებული ბერი კარიბჭის ღვთისმშობლის ხატთან მიუძღვა მათ და უთხრა: „ეს არის!“ ჯარისკაცები შიშითა და კანკალით გაეცალნენ იმ ადგილს.

ერთხელ მღვდელმა, რომელსაც ივერიის ღმრთისმშობლის ტაძარში ყოველდღიური ნირვა-ლოცვისა და პარაკლისების აღსრულება ჰქონდა დავალებული, თვალი მოჰკრა ზეციური სიმშვენიერის ქალს შავ შესამოსელში; მას ხელში ცოცხი ეკავა და მონასტერს ჰგვიდა. მღვდელი ადგილზე გაეცადა, როდესაც მონასტერში ქალი იხილა და ისიც ცოცხით ხელში, მერე მხნეობა მოკრიბა და ჰკითხა: „აქ რას აკეთებ, მონასტერს ჰგვიდა?“ უცნობმა უპასუხა: „რასაკვირველია. მოვიდა დრო, რომ გავწმინდო იგი, რადგან ამდენი წელია არავის გამოუგვია!“

ეს ამბავი მოხდა ბრწყინვალე შვიდულის კვირას, ანუ ენ. თომას კვირას. მართლაც, არ გასულა დიდი ხანი, რომ სულთანმა გამოსცა განკარგულება ათონის მთიდან თურქეთის ჯარების გამოსვლის შესახებ. მას შემდეგ ყოვლადწმიდა ქალწულის სადიდებლად და საამდლოპლად თომას კვირას ყველა ტაძარში სრულდება ღამისთევით ლოცვა. რამეთუ ცოცხით, რომელიც ღმრთისმშობლის შეწვევის ნიშანი იყო, თურქები გახვეტილ იქნენ წმიდა მთიდან და ღმრთისმშობლის სავანე გაიწმინდა სიბილნისა და უკეთურებისაგან.

პორტაიტის, ანუ ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატის მადლით მრავალი სასწაული აღესრულება.

მომზადდა წიგნებიდან: „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2001 წ. და „ივერიის ღმრთისმშობლის ხატი“, თბილისი, 1999 წ.





პიიზანტის დღიური

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ავტორი დღიურებს ა2017 წლის 16 ოქტომბრიდან იწყებს და 29 დეკემბრით ასრულებს. ამ ორ-ნახევარი თვის ცხოვრება, განცდები, ფიქრები, სევდა და ნაღველი მან მომლოცავის, ლირიკული გადახვევებისა და ა.შ. სახით გვანახლა, თანაც მდიდრული მხატვრული თხრობით. კაცთმოყვარული სულისკვეთებით გაჟღერებული მისი ავტობიოგრაფიული, დოკუმენტური თხზულება უთუოდ დიდ ყურადღებასა და შეფასებას იმსახურებს.

ასეთად მივიჩნეე მე, მკითხველმა, ქუთაისელი ჟურნალისტი, ქალბატონი ლელა თოლორდავა, როცა მის ვრცელ თხზულებას, 330 გვერდზე განფენილს, გავცვანი. ნიგნს იტალიური სახელწოდება აქვს — „ბადანტე“, რაც ქართულად მომვლელს ნიშნავს. ეს ერთსიტყვიანი სათაური, თანაც იტალიური, ნიგნის მხატვრულ ღირსებას კიდევ უფრო აძლიერებს. მკითხველის თავიდანვე დასარწმუნებლად, რომ შესანიშნავ მხატვრულ თხზულებას ეცნობა, მოვიყვან ციტატას ავტორის წინათქმიდან:

„სხვა ათასობით ქართველი ქალის მსგავსად, 2017 წლის ოქტომბერში მეც გავუყევი ევროპის გზას, ოღონდ არა ტურისტი, არამედ როგორც სამუშაოს მაძიებელი, ოჯახის მარჩენალი... ასე აღმოვჩნდი იტალიაში, ქალაქ რეჯო კალაბრიაში, მარების ოჯახში. სწორედ იქ სენიორ დომენიკოს ბადანტეობისას ჩემი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი გახდა ფეისბუქსტატუსებად დღიურების წერა, რომელთა ნიგნად გამოსაცემად მკითხველმა შემაგულიანა. აქ მარტო ჩემი ამბავი არაა, ამ ფურცელზე ათასობით ბადანტედ ქცეული ქართველი ქალის თავგადასავალია. მე ახლაც ბადანტე ვარ ტოსკანას მხარეში. ფეისბუქსტატუსებიც კვლავ ჩემი ყოველდღიურობაა სამშობლოში მალე დაბრუნების იმედით, ყველა ემიგრანტს ვუძღვნი ამ ნიგნს...“

ავტორი დღიურებს ა2017 წლის 16 ოქტომბრიდან იწყებს და 29 დეკემბრით ასრულებს. ამ ორ-ნახევარი თვის ცხოვრება, განცდები, ფიქრები, სევდა და ნაღველი მან მომლოცავის, ლირიკული გადახვევებისა და ა.შ. სახით გვანახლა, თანაც მდიდრული მხატვრული თხრობით. კაცთმოყვარული სულისკვეთებით გაჟღერებული მისი ავტობიოგრაფიული, დოკუმენტური თხზულება უთუოდ დიდ ყურადღებასა და შეფასებას იმსახურებს. ვკითხულობდი ნიგნს და საკუთარ თავს სულ უფრო ვარწმუნებდი, რომ მხატვრული სიტყვაობით შემეკობილ დოკუმენტურ, ავტობიოგრაფიულ რომანს ვეცნობოდი; ცოტას ვყოყმანობდი კიდევ — ხომ არ ვაჭარბებ-მეთქი.

და, აი, ნიგნის 36-ე გვერდზე ჩემთვის კარგად ცნობილი, ნიჭიერებითა და სათნოებით გამორჩეული ჟურნალისტიკების — ეთერ ნაცვლიშვილისა და ნანული ცხვარიანის სახელებს წავანყდი, რომლებიც განსაზღვრავენ ქალბატონ ლელას ჟურნალისტობიდან მხატვრული სიტყვის ოს-

ტატად გარდასახვას. ალტაცება ვერ დავმალე, როცა ნიგნში ქალბატონი ლელას მისამართით ქალბატონი ეთერის ხაზგასმით გამოთქმული ქება ვიხილე: „ნამდვილი, ნამდვილი მწერალი ხარ ლელა!“ გამიხარდა, თურმე მეც შემძლებია ნიგნის მხატვრული სიტყვიერების დანახვა. სილაგაზითა და სათნოებით შემოკრიბ ქალბატონ ლელას იტალიაში ჩასვლისთანავე გაუჩინდა თავისი თანამოქალაქის ორი დომენიკოს სახით. პირველმა დომენიკოსმა, 85 წლის ბერიკაცმა, რომელსაც ქალბატონი ლელა ბადანტედ მოეპოვინა, ინატრა: ნეტავი 40-45 წლისა ვიყო, ლელას ხელს ვითხოვდი. მეორე — ახალგაზრდა დომენიკო, ლელაზე 5 წლით უფროსი, ზღვის ღამაზ სანაპიროზე დასასვენებლად ჩამოვიყვანე ლელას თავისი ინიციატივით გაეცნო. მოვუსმინოთ თვით ქალბატონ ლელას: „ვიღაცის მზარამ სხვაზე ალგური მოგრიქიდა. მზაც ანათებად, მარამ მაინც მზარამ ვაგრაღა... ნიგნი ამოვიღე, „ქართულ-იტალიური სასაუბრო“... გატყობის გვირგვინ ბადავფურცელ და „მი კია მო (მი მქვიან)“ ლელა — ლეი კომა სი კიანა (შინ რა ბქვიან)?.. რამდენიმეჯერ ჩურჩულით ბადანტეობა... ნეტავ პრაქტიკაში თუ ვიტყვი უპაცდომოდ?! პრაქტიკაში რა დავაყოვნე; იმ ვიღაცის მზარამ მომიხალხოვდა და თავზე წამომაფდა. „კონსენსა (სალამო მშვიდობისა)“ მითხრა... ახლავე. სიმათიური იტალიელი მაღბას თავზე, შემდეგ გვირგვინით მომიჯდა“.

ქურნალისტი, დიდაბულ მწერლად გარდასახული



ვიელოვანე, საქართველოს ხელისუფლება «ბადანტეს» და მის ავტორს უყურადღებოდ არ დატოვებს. ჩემი ღრმა რწმენით, ნიგნი «ბადანტე» უმალეს პრემიას იმსახურებს და მკვირ, ასეც იქნება. ის თბილისში გამოცემულ «მერიდიანს» დააბეჭდა მხიკა ტიკაჟით. მკვირ, რომ სხვალენიფო იზრუნებს დიდი ტიკაჟით მის გამოცემად

ის ოთხ გვერდზეა განფენილი. მას გასაცნობად მკითხველს ვუტოვებ. ეს დომენიკო კიდევ ბევრჯერ ეთაყვანა მშვენიერებას; ერთ-ერთი შეხვედრისას დიდი სითბოთი ცოლობა სთხოვა. ალღევებით იკითხება ნიგნის შესატყვისი გვერდი,



შეიძლება, თვალზე ცრემლიც მოგადგეთ. თქვენი გასაცნობი ნიგნი დახუნძულა ავტორისეული მონოლოგებით მონატრებულ ოჯახზე, თვალბატულა შვილებზე — ლილესა და ლუკაზე, საყვარელ დედაზე. „ქუთაისი დამესიზმრა; ნითელ ხიდზე ვიდექი აყვავებულ მაგნოლიასთან და არჩილ გენავა ფოტოებს მიღებდა... უცებ დომენიკო ბაბუს ძახილმა გამაღვიძა — ლელა აქვა (წყალი)!.. დავალევი. გათენებამდე ცხრა სიზმარი ვნახე“. სიზმარში ქალბატონ ლელას ხშირად ჩამოვყავართ მშობლიურ ქუთაისში. გვიხატავს აქაური ცხოვრების ჭირვარამს; შემდეგ ისევ იტალიურ ამბებზე, მასავით ბადან-

ტე, ანუ მომვლელად მომსახურე ქართველი ქალების ცხოვრებას დიდი სითბოთი გადმოვცემს. ემოცია გენება? ნიგნის კითხვისას ბევრს მიიღებთ. ბოლოს გეტყვი: პირველ იტალიაში ბადანტედ მხოლოდ 3 თვეს იმუშავა. 2018 წლის 2 იანვარს ქუთაისში დაბრუნდა. მალე ისევ იტალიას მიაშურა — ბადანტეობას დღესაც განაგრძობს ტოსკანას მხარეში. ქალბატონ ლელას შესანიშნავ ნიგნის უყურადღებოდ დატოვებას მე, ისტორიკოს-პოლიტოლოგი, ისტორიულ ცოდვად ჩავთვლი. ეს, პირველად მრავალი წლის შემდეგ, ლელა თოლორდავამ დაგვიწერა იტალიაში ქართველ ქალთა ბადანტეობის მხატვრული სიტყვიერებით შემეკობილი ვრცელი ისტორია. ვიმედოვნებ, საქართველოს ხელისუფლება აღნიშნულ ნიგნს და მის ავტორს უყურადღებოდ არ დატოვებს. ჩემი ღრმა რწმენით, ნიგნი „ბადანტე“ უმალეს პრემიას იმსახურებს და მჯერა, ასეც იქნება. ის თბილისში გამოცემულ „მერიდიანს“ დაბეჭდა (ISBN987-9941-25-887-9) მცირე ტირაჟით. მჯერა, რომ სახელმწიფო იზრუნებს დიდი ტირაჟით მის გამოსაცემად.

«სხვა ათასობით ქართველი ქალის მსგავსად, 2017 წლის ოქტომბერში მეც გავუყევი ევროპის გზას, ოღონდ არა ტურისტი, არამედ როგორც სამუშაოს მაძიებელი, ოჯახის მარჩენალი... ასე აღმოვჩნდი იტალიაში, ქალაქ რეჯო კალაბრიაში, მარების ოჯახში. სწორედ იქ სენიორ დომენიკოს ბადანტეობისას ჩემი ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი გახდა ფეისბუქსტატუსებად დღიურების წერა, რომელთა ნიგნად გამოსაცემად მკითხველმა შემაგულიანა. აქ მარტო ჩემი ამბავი არაა, ამ ფურცელზე ათასობით ბადანტედ ქცეული ქართველი ქალის თავგადასავალია. მე ახლაც ბადანტე ვარ ტოსკანას მხარეში. ფეისბუქსტატუსებიც კვლავ ჩემი ყოველდღიურობაა სამშობლოში მალე დაბრუნების იმედით, ყველა ემიგრანტს ვუძღვნი ამ ნიგნს»

ყველასადმი კეთილი სურვილებით, ვივი გუარაშიაძე, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პოლიტოლოგი ქუთაისიდან

მიუხედავად ვალიევას წარუმატებლობისა ინდივიდუალურ შაჯირბაზაში, ეთერ თუთბარიძის სხვა აღზრდილებმა შესანიშნავად იასპარეზეს: ფიგურული ციგურაოების ქალთა ინდივიდუალურ შაჯირბაზაში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა ანა შჩერბაკოვამ, ვერცხლის — ალექსანდრა ტრუსოვამ. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახელით მოასპარეზე მორის ყვითელაშვილის მწვრთნელიც ეთერ თუთბარიძეა.

20 თებერვალს პეკინში საზეიმოდ დაიხურა ზამთრის XXIV ოლიმპიური თამაშები. ოლიმპიურ თამაშებში, რომელიც 4-დან 20 თებერვლამდე მიმდინარეობდა, მასში 91 ქვეყნის 2800-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. გათამაშდა მედლების 109 კომპლექტი სპორტის 7 სახეობაში (15 დისციპლინაში).

ზამთრის XXIV ოლიმპიური თამაშების დახურვის, ისევე, როგორც გახსნის ცერემონია გაიმართა პეკინის ეროვნულ სტადიონზე, რომელიც ცნობილია, როგორც „ჩიტის ბუდე“. ეს სტადიონი პირველია ისტორიაში, რომელზეც ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიები გაიმართა.

პეკინის ოლიმპიურ თამაშებში საქართველოდან 9 სპორტსმენი მონაწილეობდა.

სკანდალები ოლიმპიადაზე

პეკინის ოლიმპიადა რამდენიმე სკანდალით აღინიშნა. კერძოდ, რამდენიმე ქვეყანამ — აშშ-მა, ავსტრალიამ, ბელგია, დიდმა ბრიტანეთმა, დანია, კანადამ, კოსოვომ, ლიეტუვამ და იაპონიამ — დიპლომატიური ბოიკოტი გამოაცხადა ოლიმპიადას, მიზეზად ჩინეთის პროვინცია სინძიანში მუსლიმი უიღურების უფლებების შელახვა დაასახელა.

მეორე სკანდალი გამოიწვია 15 წლის ნიჭიერი რუსი მოციგურავის, **კამილა ვალიევა**, დოპინგ-სინჯში, რომელიც ოლიმპიადის დაწყებამდე 2 თვით ადრე, გასული წლის 25 დეკემბერს აუღეს, აკრძალული პრეპარატის — ტრემეტა-

ზიდინის უმნიშვნელო რაოდენობის აღმოჩენამ (აღსანიშნავია, რომ ვალიევას დოპინგ-ტესტები უშუალოდ ოლიმპიადაზე უარყოფითი იყო). ბევრი მიმომხილველის აზრით, კამილა ვალიევას გარემო დასავლური პრესის მიერ აგორებული სკანდალი დადგმული სპექტაკლი გახლდათ, რომელმაც უარყოფითად იმოქმედა გოგონას ფსიქოლოგიურ განწყობაზე. ვალიევამ გუნდურ ჩათვლაში რუსეთის ნაკრებთან ერთად ოქროს მედალი მოიპოვა, ინდივიდუალური პირველობის ფავორიტადაც ითვლებოდა, მაგრამ, მიუხედავად თავდაპირველი ლიდერობისა, ცუდად იასპარეზა და მხოლოდ მეოთხე ადგილს დასჯერდა.

„ტურებივით მიესივნენ“, — ასე შეაფასა ცნობილმა მწვრთნელმა **ეთერ თუთბარიძემ** თავისი შეგირდის, კამილა ვალიევას, გარემო აგორებული სკანდალი. მიუხედავად ვალიევას წარუმატებლობისა ინდივიდუალურ შაჯირბაზაში, ეთერ თუთბარიძის სხვა აღზრდილებმა შესანიშნავად იასპარეზეს: ფიგურული ციგურაოების ქალთა ინდივიდუალურ ასპარეზობაში ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა **ანა შჩერბაკოვამ**, ვერცხლის — **ალექსანდრა ტრუსოვამ**. აღსანიშნავია, რომ

ზამთრის XXIV ოლიმპიური თამაშები დასრულდა



საქართველოს სახელით მოასპარეზე **მორის ყვითელაშვილის** მწვრთნელიც ეთერ თუთბარიძეა.

მართვლი სპორტსმენები პეკინის ზამთრის ოლიმპიადაზე

ქართველმა სპორტსმენებმა პეკინის ოლიმპიურ თამაშებში მედალი ვერ მოიპოვეს, მაგრამ პირადი მაჩვენებლები გაიუმჯობესეს.

* **კარინა საფინასა** და **ლუკა ბერულავას** წყვილმა ფიგურულ სრიალში მე-9 ადგილი დაიკავა. ეს საუკეთესო შედეგია ქართველ სპორტსმენტა შორის.

* მამაკაცთა ერთეულთა თანრიგში მე-10 იყო **მორის ყვითელაშვილი**. მან **ელენე გაღვიანიშვილის** 2006 წლის მიღწევა გაიმეორა.

* ქალთა შორის ერთეულთა თანრიგში მე-11 ადგილი დაიკავა **ანასტასია გუბანოვა**.

* ყინულზე ცეკვაში მე-19 ადგილზე გავიდნენ **მარინა კაზაკოვა** და **ბიორგი რევი**.

* გიგანტურ სლალომში 34-ე იყო მოთხილამურე **ნიკო ნიკლაური**;

* სლალომში 32-ე ადგილი დაიკავა **სოსო ჯაფარიძემ**;

* მოციგურავე **საბა ჭუმბარიტაშვილმა** ოლიმპიადაზე გამოსვლა 31-ე ადგილზე დაასრულა.

ოლიმპიადაზე ტრადიციულად ძლიერად იასპარეზეს **ნორვეგიელმა** სპორტსმენებმა, რომლებმაც 16 ოქროს, 8 ვერცხლისა და 13 ბრინჯაოს მედალი დამსახურეს.

პეკინის ზამთრის ოლიმპიური თამაშები დახურულად გამოაცხადა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა **თომას ბახმა**.

პეკინის მერმა, საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელმა **ჩენ ძინინმა** ოლიმპიური დროშა გადასცა თომას ბახს, რომელმაც, თავის მხრივ, ეს დროშა გადაულოცა 2026 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქების — **მილანისა** და **კორტინა დ'აშპეცოს** — მერებს.

ზამთრის XXV ოლიმპიური თამაშები 2026 წლის 6-22 თებერვალს გაიმართება.

მოამზადა **ნიკა კორინთელა**

მედალების მიხედვით საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება

აღიერი	ქვეყანა	ოქრო	ვერცხლი	ბრინჯაო	სულ
1	ნორვეგია	16	8	13	37
2	გერმანია	12	10	5	27
3	ჩინეთი	9	4	2	15
4	აშშ	8	10	7	25
5	კანადა	8	5	5	18
6	რუსეთი	8	5	4	17
7	სამხრეთი კორეა	7	7	4	18
8	შვეიცარია	7	2	5	14
9	ავსტრია	6	12	14	32
10	იტალია	5	7	2	14



ალექსანდრა ტრუსოვა, ეთერ თუთბარიძე, კამილა ვალიევა და ანა შჩერბაკოვა

გილოცავთ, გეგობრებო!

გულით და სულით გილოცავთ სამშობლოს დამცველის დღეს — მამაცობის, გმირობის, სამშობლოსადმი თავდავინებულ სამსახურის ზეიმს! ვულოცავ ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ეს დღე, ძვირფასია ეს ფასეულობები!

ჩემთვის დაუვინყარია საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობის დრო (1.09.1965-იდან 26.12.1968-მდე), დრო, რომელიც რთული, მაგრამ სამხედრო მეგობრობით გამთბარი იყო, რომელსაც ახლდა სიამაყის განცდა, რომ ვემსახურებო მშობელი ხალხის მშვენიერ ძალებს, რომლებიც მშვენიერად იბრძოდნენ უზრუნველყოფის, სიყვარულის, ნაყოფიერი შრომის პირობების უზრუნველყოფის, ისევე, როგორც მშვიდობის მთელ მსოფლიოში. როგორ შემიძლია, დავვიწყო ჩემი თანამოსახურენი: კახაკი **ანატოლი ვასილიძე** და **პროკოპი**, კრასნოდარის მხარის სოფელ ვერიოვიკინიდან, **ქარ-**

იმჟან დალაბაძის ქა აბულ-რაზაკოვი უზუბეკეთიდან, ციმბირელი **ალექსანდრე დიმიტრის ქა ბრიუსანოვი** და ბევრი სხვა — ყველას ვერ ჩამოვთვლი. ყოველი ჩვენგანი ამაყობდა თავისი ეთნიკური წარმომავლობით და პატივს სცემდა სხვებს. სწორედ მეგობრობით, ურთიერთპატივისცემითა და თანასწორობით ახდენდნენ ჩვენი ხალხები საოცრებებს როგორც ბრძოლის ველზე, ისე შრომის ფრონტზე. გახსოვდეთ, მეგობრებო: ჩვენ მტრის არ გვეშინოდა, მაგრამ ვერაფერი გვეშინოდა შემოვიდა არა ქვემე-

ხების ქუხილითა და ტანკების მუხლუხების გრუხუნით, არამედ ვერცხლის ჭლარუნის „დემოკრატიული“ აკომპანემენტის ქვეშ და შეძლო, ხინჯი გაეჩინა ჩვენს ხალხებს შორის. ჩვენი დიდი სამშობლო აღარ არსებობს, ისევე, როგორც ჩვენი დაუმარცხებელი და ლეგენდარული საბჭოთა არმია. ეს უმწარესი გააკვეთილია ჩვენთვის, რომლიდანაც ყველამ სწორი დასკვნები უნდა გავაკეთოთ. ყოველივე ამის გათვითცნობიერება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როდესაც იგივე მტერი, რომელიც ყველა ჩვენი ხალხის მტერია, იქცევა, როგორც ტურების ხროვა; ცდილობს, ალყა შემოარტყას რუსეთს და თანაც „რუსულ საფრთხეზე“ გააკვივოს. თავისი არსებობის განმავლობაში, რუსეთი და



ტარიელ სუსნიაშვილი

რუსი ხალხი არასოდეს არ ავლენდა აგრესიას. რუსეთი, განსხვავებით სხვა დიდი სახელმწიფოებისგან, არასოდეს არ ავის დამუქრებია გაქრობით, განადგურებით, მაგრამ იყო საპირისპირო შემთხვევები, როდესაც რუსეთში პრობლემები წარმოიშობოდა, მის წინააღმდეგ გარედან არაერთ-



ხელ განხორციელებულა აგრესია, მაგრამ გამარჯვებული ყოველთვის მაინც რუსი ხალხი გამოდიოდა, რუსეთი უფრო ძლიერი და დიდი ხდებოდა. ესეც უნდა გვახსოვდეს. მჯერა, რომ მართალი საქმე ამჯერადაც გაიმარჯვებს. მსურს, მხოლოდ დავძინო, რომ დღევანდელ მძიმე ჟამს

იზრდება ე.წ. სახალხო დიპლომატიის როლი ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებში. ამ სახალხო დიპლომატიის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად შეიძლება სოციალური ქსელები იქცნენ, ნაცვლად მათი ამჟამინდელი ფუნქციისა, ხალხთა შორის დაპირისპირების გაღვივებისა და ადამიანების ზოგადი გამოთავყვანებისა. როგორი სოცქსელი არ არის ინტერნეტში, გარდა ქსელისა ან საიტისა, რომელსაც მე ასე დავარქმევდი — „Однополчане“ („თანაპოლკელები“). იქნებ, ვინმემ დღესმე გადანყვიტოს ასეთი პროექტის განხორციელება?

საუკეთესო სურვილებით, სამხედრო ნაწილი **И.И. 75059-ის** ოცეულის მეთაური, სერჟანტი **ტარიელ სუსნიაშვილი**

P. S. ბატონო ტარიელის ეს მილოცვა რუსულ ენაზე რუსულ საიტებზე გამოქვეყნდა და შეიძლება ითარგმნა ქართულად.

შვედეთს ნატოს წევრობა არ სურს



შვედეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა უარი ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრობაზე. ამის შესახებ ნათქვამია შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ან ლინდეს მიერ ხელმოწერილ 2022 წლის საგარეო პოლიტიკურ დეკლარაციაში. „მთავრობას განზრახული არ აქვს, განაცხადი შეიტანოს ნატოს წევრობაზე. შვედეთის უსაფრთხოების პოლიტიკა უცვლელი რჩება. სამხედრო ალიანსებისგან თავისუფლება კარგ სამსახურს გვინებს და ხელს უწყობს სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ჩრდილოეთ ევროპაში“, — განაცხადა შვედეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა დოკუმენტის პარლამენტში წარდგენისას.

უფრო ადრე ნატოს გენერალურმა მდივანმა **ანდრე ჟენერალურმა სენმა** შვედეთს „სასურველი პარტნიორი“ უწოდა და დასძინა, რომ, მთავრობის შესაბამისი ინიციატივის შემთხვევაში, შვედეთს შეუძლია, მეორე დღევე გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. აღსანიშნავია, რომ საქართველო და უკრაინა, უკვე 14 წელია, ნატოს კარზე ამაოდ აკაკუნებენ. თეთრი სახლის პრესმდივანმა **ჯინ უსაკიმ** 16 თებერვალს განაცხადა, რომ უკრაინის ნატოს სრულუფლებიან წევრად მიღების საკითხი ჯერ არ დამდგარა.

lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოაქვია ნიკა კორინთელა

უკრაინის პრეზიდენტი პრესმდივან დიმიტრ პესკოვის თქმით, უკრაინის გარშემო შექმნილ ვითარებაზე პუტინთან დასავლეთის ქვეყნების ლიდერების საუბრის ტონალობა „მკვეთრად საწინააღმდეგოა ამ სახელმწიფოების მდიაში გაჩაღებული ისტერიკისგან“ — დასავლეთის ქვეყნების ლიდერები პუტინთან პირისპირ საუბარში სანქციებით კი არ იმუქრებიან, სხვანაირად ჭიკჭიკებენ.

პესკოვმა ისიც თქვა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, კრემლს შეუძლია პუტინსა და უცხოელ ლიდერებს შორის საუბრების ჩანაწერების გამოქვეყნება, როგორც ეს უკვე გაკეთდა საფრანგეთის პრეზიდენტ **მაკრონის** შემთხვევაში. „იმედი მაქვს, საქმე იქამდე არ მივა, რომ პრეზიდენტების მოლაპარაკებების დახურული ნაწილის ჩანაწერები შეიქმნეს გამოსაქვეყნებელი, მაგრამ, თუ ჩვენი პრეზიდენტის სიმართლის დამტკიცება გახდა საჭირო, ჩვენ ამას გავაკეთებთ“, — განაცხადა პესკოვმა.



დასავლეთი ურსხვად სრუობს

ნაოვნია უნიკალური დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დასავლეთის დაპირებას მოსკოვისადმი, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა. დოკუმენტი, როგორც Der Spiegel-ი განმარტავს, ბრიტანეთის ეროვნულ არქივში ამერიკელმა პოლიტოლოგმა, ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოჰანა შიფრინსონმა აღმოაჩინა.

გერმანული გამოცემა Der Spiegel-ი იუნყება, რომ ნაპოვნია საარქივო დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება დასავლეთის დაპირება მოსკოვისადმი, რომ გერმანიის გაერთიანების შემდეგ ნატო აღმოსავლეთით არ გაფართოვდებოდა. დოკუმენტი, როგორც Der Spiegel-ი განმარტავს, ბრიტანეთის ეროვნულ არქივში ამერიკელმა პოლიტოლოგმა, ბოსტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯოჰანა შიფრინსონმა აღმოაჩინა. ეს დოკუმენტი წარმოადგენს საოქმო ჩანაწერს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროების პოლიტიკური დირექტორების მოლაპარაკებებისა, რომელიც 1991 წლის 6 მარტს ბონში გაიმართა. ამ შეხვედრაზე განიხილებოდა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უსაფრთხოება. დოკუმენტის თანახმად, გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური დირექტორი იუზებან პრობოგის შეხვედრაზე ამტკიცებდა:

„ჩვენ 2+4-ის მოლაპარაკებებზე (გერმანიის გაერთიანების შესახებ, გერ-ისა და გდრ-ის, ასევე აშშ-ის, სსრკ-ის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მონაწილეობით) ნათლად გამოვხატეთ პოზიცია, რომ ჩვენ არ ვაფართოვებთ ნატოს მდინარე ოდერს იქით, ამიტომ პოლონეთსა და სხვებს ნატოში განევრებას ვერ შევთავაზებთ.“
იურგენ პრობოგის თქმით, მოსაზრება შეთანხმებული იყო ფედერალურ კანცლერ **ჰელმუტ კოლთან** და საგარეო საქმეთა მინისტრ **ჰანს-**

დიტრის ბენშეიტანს. აშშ-ის წარმომადგენელი რაიმონდ ზაიცი, როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, დათანხმდა: „საბჭოთა კავშირისთვის ნათელი გახდა 2+4 მოლაპარაკებებზე, ისევე სხვა მოლაპარაკებებზე, რომ არ ვაპირებთ, ვისარგებლოთ აღმოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა ჯარების გაყვანით... ნატო არ უნდა გაფართოვდეს აღმოსავლეთით, არც ფორმალურად და არც არაფორმალურად“. შეხვედრის მონაწილეებმა გადანყვიტეს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის სტაბილურობისა და უსაფრთხოების გაძლიერება რეგიონის ქვეყნებთან ორმხრივი შეთანხმებების გზით და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის — ეუთო-ს ფარგლებში. რუსეთის პრეზიდენტმა **ვლადიმერ პუტინმა** არაერთხელ აღნიშნა, რომ გერმანიის გაერთიანების შესახებ მოლაპარაკებებისას საბჭოთა კავშირს დაჰპირდნენ, რომ ნატო აღმოსავლეთით არ გაფარ-

SPIEGEL, Ausland
Neuer Aktenfund von 1991 stützt russischen Vorwurf
Russland behauptet seit Jahrzehnten, die Nato-Osterweiterung verstöße gegen westliche Zusagen nach dem Mauerfall. Nun ist ein bemerkenswertes Dokument aufgetaucht.
Von Klaus Wiegrefe
18.02.2022 • aus DER SPIEGEL 8/2022

საქართველო
თუ გზურთ, გაზვიაროთ „საპარტიველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საპურნიერო მომსახურებით, შვიდილიათ დაუპაპვირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო
ესტუბრეტი რვენს სიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეჯია
გაზვიაროთ ხელმძღვანელოვს თქვენი უფალი პრესის პრინციპებით. ავტორებს ექირებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
91772331389091